



საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016-17 სასწავლო წლის ანგარიში

2016-17 სასწავლო წელს ხარისხის სამსახურის საქმიანობა წარიმართა დაწესებულების ერთწლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად. პრიორიტეტული იყო შემდეგი მიმართულებები: სარეკლამო კამპანიის წარმოება; დაწესებულებაში სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება ახალი სახელმძღვანელოებით, მოდულების შესაბამისად; პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლება/ტრენინგები; კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დამსაქმებლებთან/დამსაქმებელთა ასოციაციასთან შეხვედრა/კონსულტაციები; სტუდენტთა მომსახურების სერვისის გაუმჯობესება; კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა; 2017 წლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა; 2017-18 სასწავლო წლისათვის მზადება; 2017-18 სასწავლო წლის სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

დაწესებულებაში განხორციელებული აქტივობები:

აქტივობა	სარეკლამო კამპანიის წარმოება
შინაარსი	სარეკლამო ბუკლეტების დამზადება, შეხვედრების მოწყობა, ბუკლეტების რეკლამირება
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია
განხორციელების ვადები	მაისი
შედეგი	დამზადდა სარეკლამო ბუკლეტები, მოეწყო შეხვედრები, ბუკლეტების რეკლამირებისათვის
აქტივობა	საბიბლიოთეკო ფონდის შევსება ახალი სახელმძღვანელოებით, მოდულების შესაბამისად
შინაარსი	დაწესებულებაში განხორციელდა წიგნადი ფონდის შევსება საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი
განხორციელების ვადები	წლის განმავლობაში
შედეგი	მოდულური პროგრამების სწავლების ხარისხის ამაღლების, პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო რესურსებით სრულად დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ შიძინა სახელმძღვანელოები
პროგრამის განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლება /ტრენინგები	
აქტივობა	1. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ინიციატივით, საქართველოს ბიზნესის აკადემიაში ჩატარებული ტრენინგი

შინაარსი	კომპეტენციებზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების არსის, სტრუქტურის, შემადგენელი კომპონენტების, შეფასების სისტემების, შეფასების ინსტრუმენტების და ა. შ. შესახებ.
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	26-27 მარტი, 2016 წელი
შედეგი	ტრენინგი ჩატარდა 2016 წლის 26-27 მარტს ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს დაწესებულების თანამშრომლებმა: შორენა ხაჭაპურიძემ, ლალი ახალაძემ, მარინა ლელაშვილმა, მარინე ცაგურიამ, ლამარა მეზვრიშვილმა, მაია ცაგურიამ და თეონა ლეკიშვილმა. ინფორმაცია ტრენინგის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
აქტივობა	2. ფინანსური ოფისი, ტრენინგი
შინაარსი	ტრენინგი თემაზე: მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი მოდელი (ე.წ ესტონური მოდელი)
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია
განხორციელების ვადები	2017 წელი
შედეგი	ტრენინგი ჩატარდა 2017 წელი, ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ფინანსური სამსახურის უფროსმა ნინო ელისაშვილმა და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი.
აქტივობა	3. სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, ტრენინგი
შინაარსი	ტრენინგი საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის შესახებ
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია
განხორციელების ვადები	26-30 ივნისი, 2017 წელი
შედეგი	ტრენინგი ჩატარდა 2017 წლის 26-30 ივნისს , ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ლელა ხუფენიამ, ინფორმაცია ტრენინგის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
აქტივობა	4. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ტრენინგი
შინაარსი	საწარმოო ტრენინგი „პრაქტიკოსი ექთნის“ მოდულური პროგრამის მიმართულებით
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია
განხორციელების ვადები	25-27 ნოემბერი, 2016 წელი
შედეგი	საწარმოო ტრენინგი ჩატარდა 2017 წლის 25-27 ნოემბერს , ტრენინგში მონაწილეობა მიიღო მარინა წაქაძემ, მარიამ გაფრინდაშვილმა. ინფორმაცია ტრენინგის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
აქტივობა	5. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საწარმოო ტრენინგი
შინაარსი	საწარმოო ტრენინგი „ოფისის მენეჯერის“ პროგრამის მიმართულებით
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია
განხორციელების ვადები	18-21 ნოემბერი, 2016 წელი
შედეგი	საწარმოო ტრენინგი ჩატარდა 2016 წლის 18-21 ნოემბერს , ტრენინგში მონაწილეობა მიიღო ლელა ხუფენიამ, თეონა ლეკიშვილმა. ინფორმაცია ტრენინგის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე

აქტივობა	კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით დამსაქმებლებთან/დამსაქმებელთა ასოციაციასთან შეხვედრა/კონსულტაციები
შინაარსი	დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა შეხვედრა - პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია
განხორციელების ვადები	20 ოქტომბერი, 2016 წელი
შედეგი	შეხვედრა მოეწყო 2017 წლის 20 ოქტომბერს, შეხვედრა ეხებოდა არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში. შეხვედრას ესწრებოდა კოლეჯის წარმომადგენელი შორენა ხაჭაპურიძე. ინფორმაცია შეხვედრის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა	
აქტივობა	1. ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონფერენცია
შინაარსი	კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა თემები: "სოციალური ფარმაცია, მისი არსი და ამოცანები", "ჯანმრთელობის დაცვა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მართვის სტრუქტურა", "სახელმწიფო პოლიტიკა სამკურნალო საშუალებების მიმოქცევაში"
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებელი
განხორციელების ვადები	2016 წლის 1 ივნისი
შედეგი	2016 წლის 1 ივნისს დაწესებულების ადმინისტრაციის ჩართულობით ჩატარდა სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა, წარმოადგინეს თემები ფარმაცევტის თანაშემწის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა. ინფორმაცია კონფერენციის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
აქტივობა	2. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით ქ. ქუთაისში გამართული განათლების ფესტივალი
შინაარსი	საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით ქ. ქუთაისში გამართულ განათლების ფესტივალში და პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენციაში მონაწილეობა
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, მომხსენებელი, პროფესიული სტუდენტები
განხორციელების ვადები	2016 წლის 9 ივნისი
შედეგი	2016 წლის 9 ივნისს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით ქ. ქუთაისში გამართულ განათლების ფესტივალში და პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენციაში მონაწილეობა: მარიამ მიქაძემ წარმოადგინა თემა „სწავლების მეთოდები გერმანიის პროფესიულ განათლებაში“, პროფესიული სტუდენტები ნინო შარიფაშვილი და ანა ბერიშვილი - თემა: „დიაბეტური ტერფი“. ინფორმაცია კონფერენციის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
აქტივობა	3. მედიკოსთა კლუბის ეგიდით გამართული სტუდენტთა და

	პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონფერენცია
შინაარსი	„მედიკოსთა კლუბის“ ეგიდით გაიმართა კონფერენცია თემაზე - "ადამიანი და ჯანმრთელობა"
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2016 წლის 17 დეკემბერი
შედეგი	2016 წლის 17 „მედიკოსთა კლუბის“ ეგიდით გაიმართა კონფერენცია თემაზე - "ადამიანი და ჯანმრთელობა", საკონფერენციო თემები ეხებოდა ეკოლოგიასა და მის გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე; კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა თემები სხვადასხვა დაავადებებზე და პირველადი დახმარების გაწევის გზებზე ამ დაავადებების დროს. ასევე წარმოდგენილ იქნა ნაშრომები შაქრიან დიაბეტზე და მის თანმხლებ გართულებებზე, სტენოკარდიასა და გულის ინფარქტზე, ჰემოფილიაზე, დაუნის სინდრომზე. ინფორმაცია კონფერენციის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
აქტივობა	4. მედიკოსთა კლუბის ეგიდით გამართული სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონფერენცია
შინაარსი	„მედიკოსთა კლუბის“ ეგიდით გაიმართა კონფერენცია „კიბოს შესახებ“.
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის 11 მარტი
შედეგი	2017 წლის 11 მარტს გაიმართა კონფერენცია კიბოს შესახებ. (პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის პირველი და მეორე კურსის სტუდენტები). ინფორმაცია კონფერენციის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
აქტივობა	5. სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კონფერენცია
შინაარსი	მედიკოსთა კლუბის ეგიდით გამართული შეხვედრა "დაუნის სინდრომის" მსოფლიო დღესთან დაკავშირებით
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის 25 მარტი
შედეგი	2017 წლის 25 მარტს გაიმართა პროფესიულ სტუდენტთა შეხვედრა "დაუნის სინდრომის" მსოფლიო დღესთან დაკავშირებით
აქტივობა	6. მედიკოსთა კლუბის ეგიდით გამართული პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო კონფერენცია
შინაარსი	პროფესიულ სტუდენტთა კონფერენცია
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის 14 ივნისი
შედეგი	2017 წლის 14 ივნისს „მედიკოსთა კლუბის“ ეგიდით გაიმართა პროფესიული სტუდენტების სასწავლო კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო ნაშრომები შემდეგ თემებზე: „პაციენტის მოვლა საშარდე სისტემების დაავადებების დროს“, „პაციენტის მოვლა გულ-სისხლძარღვთა სისტემების დაავადებების დროს“, „მწვავე ბრონქიტი“, „გულ-სისხლძარღვთა სისტემის ასაკობრივი ცვლილებები და დაავადებები ხანდაზმულთა ასაკში“, „გერიატრიული პაციენტის მოვლა სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს“, „თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა“, „პაციენტის მოვლა სასუნთქი სისტემების დაავადებების

	დროს, ფილტვების ტუბერკულოზი“, „ანემია“, „პაციენტის მოვლა სასუნთქი სისტემების დაავადებების დროს“, „პაციენტის მოვლა საჭმლის მომწოდებელი სისტემების დაავადებების დროს“ (პრაქტიკოსი ექთნის და ექთნის თანაშემწის პროფესიული პროგრამების სტუდენტები) ინფორმაცია კონფერენციის შესახებ განთავსებულია ვებ-გვერდზე
აქტივობა	7. საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით უფლისციხეში ჩატარებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა კონფერენცია
შინაარსი	საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით უფლისციხეში ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის 20 ივნისი
შედეგი	2017 წლის 20 ივნისს საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით უფლისციხეში ჩატარებული პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენცია. მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების მასწავლებელმა მარინე ცაგურიამ თემით „სწორად არჩეული პროფესია, მომავალი კეთილდღეობის გარანტი. პროფესიულმა სტუდენტებმა ნინო ჯერენაშვილმა და თათია შაშიაშვილმა წარმოადგინეს თემა - „თირკმლის უკმარისობა“.
აქტივობა	8. „ბერი ანდრიას სახელობის“ ფონდისა და „ცხოვრება მშვენიერია“-ს თაოსნობით, სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობა
შინაარსი	კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ „ბერი ანდრიას სახელობის“ ფონდისა და „ცხოვრება მშვენიერია“-ს თაოსნობით, სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო კონცერტს, რომელიც გაიმართა სპორტის სასახლეში.
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის 19 მარტი
შედეგი	კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ „ბერი ანდრიას სახელობის“ ფონდისა და „ცხოვრება მშვენიერია“-ს თაოსნობით, სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო კონცერტს, რომელიც გაიმართა სპორტის სასახლეში ქველმოქმედების გასაწევად
აქტივობა	9. სტუდენტური დღეების ფარგლებში მოწყობილისპორტული შეჯიბრი - „ბურთებით ფეხბურთში“
შინაარსი	საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით სტუდენტური დღეების ფარგლებში სპორტულ შეჯიბრში - „ბურთებით ფეხბურთში“ მონაწილეობა
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები

განხორციელების ვადები	2017 წლის 25-27 მაისი
შედეგი	2017 წლის 25-27 მაისს, საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ორგანიზებით სტუდენტური დღეების ფარგლებში სპორტული შეჯიბრი - „ბურთებით ფეხბურთში“ გაიმართა, რომელშიც საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის პროფესიულ სტუდენტთა გუნდიც იღებდა მონაწილეობას
აქტივობა	9. ექსკურსია დაშბაშის კანიონზე
შინაარსი	დაშბაშის კანიონზე კოლეჯის დირექციის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროფესიულ სტუდენტთა ექსკურსია
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის 26 ივნისი
შედეგი	2017 წლის 26 ივნისს კოლეჯის ადმინისტრაცია და სტუდენტები იმყოფებოდნენ ექსკურსიაზე დაშბაშის კანიონზე.
აქტივობა	დაწესებულებაში სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა
შინაარსი	დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ანონიმური კითხვარების მიხედვით გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლები, გამოკითხვის მიზანი იყო შედეგების ანალიზის საფუძველზე სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	წელიწადში რამდენიმეჯერ
შედეგი	(იხ. ანალიზი, დანართი 1).
აქტივობა	2017 წლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა
შინაარსი	გეგმიური თვითშეფასების ანგარიშის მომზადება
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის ივნისი-ივლისი
შედეგი	განხორციელდა დაწესებულების თვითშეფასება, მომზადდა 2017 წლის თვითშეფასების ანგარიში, რომელშიც ჩართული იყო დაწესებულების ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიში წარედგინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს დადგენილ ვადებში.
აქტივობა	2017-18 სასწავლო წლისათვის მზადება
შინაარსი	მზადება ახალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესისათვის, სასწავლო პროცესის ეფექტური ადმინისტრირებისთვის
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის ივლისი
შედეგი	დაწესებულებაში 2016-2017 სასწავლო წლის შედეგების შეჯამების შემდეგ დაიწყო მზადება ახალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესისათვის, სასწავლო პროცესის ეფექტური ადმინისტრირებისთვის: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (სასწავლო გეგმები) მიხედვით მეცადინეობის სავარაუდო ცხრილის შედგენა, ჩარჩო დოკუმენტის

	საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პრაქტიკოსი ექთანი) ადმინისტრირების პროცედურების დაგეგმვა.
აქტივობა	2017-18 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება
შინაარსი	სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედის სასწავლო პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები
პასუხისმგებელი პირი	დირექტორი, ადმინისტრაცია, პროფესიული განათლების მასწავლებლები
განხორციელების ვადები	2017 წლის 10 სექტემბერი
შედეგი	დაწესებულების დირექტორის დირექტივით ადმინისტრაციის თანამშრომლებს გადაუნაწილდა შესაბამის დავალებები 2017-18 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის, მასალა ადმინისტრაციის თანამშრომლებმა უნდა წარმოადგინონ 2017 წლის აგვისტოს ბოლომდე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შემუშავდა გიდის, ოფისის მენეჯერის, ექთნის თანაშემწის და ფარმაცევტის თანაშემწის სასერტიფიკატო პროგრამები, რომელიც განხორციელდება 2017 წლის ბოლომდე.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის (კვლევის) ანალიზი

კვლევის მიზანი: პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების განსაზღვრა;

კვლევის ტექნიკა: ონლაინ კითხვარები

ანგარიშის ენა: ქართული

გამოკითხულ იქნა დაწესებულებაში პროფესიული მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები, კოლეჯში ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების მიზნით.

კითხვარების ანალიზი:

დაწესებულებაში შემუშავებულია მასწავლებლის ონლაინ კითხვარები (https://docs.google.com/a/tsu.ge/forms/d/1JRm4XG7aFpe-En6syr_O3vzaDl8P0Iog2Z-2jUZk4No/edit).


ამ ეტაპზე ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 4 რესპოდენტმა. მასწავლებლების გამოკითხვის ანალიზით დადგინდა შემდეგი:

გამოკითხული რესპოდენტების აზრით, სასურველია მოდულის კრიტერიუმების დახვეწა თემატიკასთან შესაბამისობაში.

სასურველია მოდულის განხორციელებასთან, ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ვორქშოპების გამართვა იმ დაწესებულებების მონაწილეობით, რომლებიც ერთნაირ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ.


1. იცნობთ თუ არა სრულად აღნიშნულ მოდულურ პროგრამას?

4 responses




2. გაქვთ თუ არა თქვენი მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება?

4 responses



3. პირადად მონაწილეობდით თუ არა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში?

4 responses



4. პირადად მონაწილეობდით თუ არა კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში?

4 responses



5. მოახდინეთ თუ არა სასწავლო გეგმის ადაპტირება სსსმ სტუდენტების საჭიროებებისთვის?

4 responses



6. მისაღებია თუ არა მოდულის სტრუქტურა?

4 responses




7. გასაგებია თუ არა მოდულის შინაარსი?

4 responses



8. საჭიროებს თუ არა მოდულის ნაწილები დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას?

4 responses



9. თქვენის აზრით, სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები?

4 responses




10. სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები კალენდარული გეგმის შემუშავებისას?

4 responses



11. სრულად გაითვალისწინეთ თუ არა მოდულის დამხმარე ჩანაწერები შეფასების დაგეგმვისას?

4 responses



12. შეესაბამება თუ არა რეკომენდებული თემატიკა მისაღწევ სწავლის შედეგებს?

4 responses



13. რამდენად შეესაბამება რეკომენდირებული სწავლების მეთოდები მისაღწევ სწავლის შედეგებს?

4 responses



14. რამდენად შეესაბამება მტკიცებულებები დასადასტურებელ სწავლის შედეგებს?

4 responses




15. რამდენად შეესაბამება რეკომენდებული შეფასების ინსტრუმენტები დასადასტურებელ შესრულების კრიტერიუმებს?

4 responses




16. ადეკვატურია თუ არა მოდულის საათების ჯამური რაოდენობა დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად?

4 responses



17. ადეკვატურია თუ არა საათების გადანაწილება სწავლის შედეგებისა და დატვირთვის ფორმების (ლექცია, პრაქტიკული, დამოუკიდებელი, შეფასება) მიმართ

4 responses



18. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საჭირო მასალებითა და ინვენტარით?

4 responses




19. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენი მოდულის დანერგვის პროცესი საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები)

4 responses



20. მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, ხომ არ საჭიროებთ რაიმე საკითხებზე დამატებით ტრენინგს/ კონსულტირებას?

4 responses



დაწესებულებაში სტუდენტების გამოკითხვისთვის შექმნილია ონლაინ კითხვარები.

(https://docs.google.com/a/tsu.ge/forms/d/1Vgx-ZWXzDSiFb5dtxlrx6wm_b_Ch5TxG8q6M72sRA1U/edit).

ამ ეტაპზე ონლაინ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 13 რესპოდენტმა. სტუდენტთა კითხვარების ანალიზით დადგინდა შემდეგი:

1. გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია მოდულური სწავლებით;
2. ინფორმირებული არიან სასწავლო პროცესის/მოდულების, სწავლის შედეგების შესახებ;
3. გამოკითხული რესპოდენტების უმეტესობამ დააფიქსირა შემდეგი სახის რეკომენდაციები:
 - ა. სასურველია მეტი დრო დაეთმოს პრაქტიკული უნარების დაუფლებას;
 - ბ. სასურველია უფრო მეტი სასწავლო რესურსები იყოს სტუდენტებისთვის;

დაწესებულება რა თქმა უნდა გაითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების რეკომენდაციებს, თუმცა აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ უმეტეს შემთხვევაში სტუდენტთა მხრიდან კითხვარების შევსება ზერელეა, დაწესებულება მოხარული იქნება, თუ პროფესიული სტუდენტები უფრო ღიად დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, რათა დაწესებულებამ ადეკვატური ზომები მიიღოს და გააუმჯობესოს ხარისხის შიდა მექანიზმები.

1. სასწავლებელმა მომაწოდა ინფორმაცია მოდულური სწავლების შესახებ

13 responses



2. გავეცანი მოდულის სწავლის შედეგებს

13 responses




3. გავეცანი შესრულების კრიტერიუმებს

13 responses



4. გამაცნეს, თუ როგორ მოხდება ჩემი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში

13 responses



5. ვფიქრობ, რომ მოდულის/პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები გამომადგება მომავალ პროფესიულ საქმიანობაში

13 responses



6. ვიცნობ მთლიანობაში მოდულურ სასწავლო პროგრამას და შესაბამის სასწავლო გეგმას

13 responses



7. მასწავლებელი/მასწავლებლები გასაგებად ხსნიან მასალას

13 responses




8. სწავლის პროცესში ვიღებ საჭირო დახმარებას და კონსულტაციას

13 responses



9. მასწავლებელი სისტემტურად იძლევა შეფასებას, რჩევებსა და რეკომენდაციებს ჩემს მიღწევებთან დაკავშირებით

13 responses




10. სასწავლო პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს

13 responses




11. მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად?

13 responses




12. შემოთავაზებული სასწავლო რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები) აკმაყოფილებს ჩემს სასწავლო საჭიროებას.

13 responses




13. სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები ჩემთვის ხელმისაწვდომია

13 responses



14. სასწავლო ტექნიკური აღჭურვილობა/სასწავლო მასალები მთელი ჯგუფისათვის საკმარისია (მოდულის სწავლებისათვის) - არ გვაქვს პრობლემა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით

13 responses




15. სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი

13 responses



16. გაგაჩნიათ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება? (შემოხაზეთ „დიახ“ ან „არა“)

13 responses



17. გთხოვთ აირჩიოთ ქვემოთ მოცემული პასუხებიდან ერთ-ერთი:

13 responses

